დებულება

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ავტორთა საბჭოს შექმნის და საქმიანობის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების მიზანი და მოქმედების სფერო

1. ავტორთა საბჭოს შექმნის და საქმიანობის შესახებ დებულება შემუშავებულია ააიპ საქართელოს საავტორო უფლებათა ასოციაციის წესდების და მოქმედი კანონმდებლობის საფუძელზე.
2. დებულების ნორმები არეგულირებს საბჭოს შექმნის პროცედურას, მისი დაკომპლექტების წესს და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.
3. საბჭოს უფლებამოსილება და სტატუსი განისაზღვრება ამ დებულებით და ასოციაციის წესდებით.

მუხლი 2. საბჭოს საქმიანობა

1. საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:
   ა) ასოციაციის გამგეობისთვის საქმიანობის სპეციფიკურ საკითხებში კონსულტაციების გაწევა;
   ბ) ასოციაციის გამგეობისთვის სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებების და საექსპერტო დასკვნების მომზადება;
   გ) ასოციაციის წინაშე არსებული პრობლემატიკის განხილვა-ანალიზი და მათ გადაჭრაში დახმარება;
   დ) ასოციაციის წევრთა ინტერესების წარმოდგენა და დაცვა;
   ე) ასოციაციის საქმიანობის ახალი მიმართულებების შესახებ წინადადებების მომზადება და გამგეობისთვის წარდგენა.

თავი II

საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი

მუხლი 3. საბჭოს შექმნა

1. საბჭო შედგება ასოციაციის ცხრა წევრისგან და აირჩევა წევრთა საერთო კრების მიერ ასოციაციის გამგეობის უფლებამოსილების ვადით.
2. საბჭოს წევრი შეიძლება გახდეს ასოციაციის წევრი, ქმედუნარიანი ფიზიკური ან უფლებაუნარიანი იურიდიული პირი, ან მისი მემკვიდრე/უფლებამონაცვლე, რომელიც კარგად იცნობს ასოციაციის სამუშაო სპეციფიკას და ამ დებულებით განსაზღვრული მიმართულებებით გააჩნია შესაბამისი გამოცდილება.
3. საბჭოს წევრის შრომა არ ანაზღაურდება
4. საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენა შეუძლია ასოციაციის ნებისმიერ წევრს.
5. კანდიდატურები წარედგინება ასოციაციის გამგეობას.
6. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს საერთო კრებაზე დამსწრე და/ან წარმოდგენილი ხმებიდან უფრო მეტ ხმას.
7. საბჭოს წევრად არ შეიძლება არჩეულ იქნას ასოციაციის გამგეობის და სარევიზიო კომისის წევრი.
8. საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება:
   ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
   ბ) სასამართლოს მიერ მისი ქმედუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;
   გ) გარდაცვალებისას, აგრეთვე სასამართლოს მიერ გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების დროს.
   დ) იურიდიული პირის წევრობის შემთხვევაში, მისი ლიკვიდაციისას;
   ე) ასოციაციის წევრობის შეწყვეტის, ასოციაციის სარევიზიო კომისიის ან გამგეობის წევრად არჩევის შემთხვევაში;
   ვ) ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით, თუ საბჭოს წევრის ქმედება არ შეესაბამება წესდების და ამ დებულების მოთხოვნებს და/ან ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს, აგრეთვე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის დროს.
   ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანტური ადგილის შევსება ხდება საბჭოს წევრის არჩევის ამ დებულებით დადგენილი წესით.

მუხლი 4. საბჭოს საქმიანობა

1. საბჭოს სხდომები იმართება საჭიროებისამებრ, როგორც ფიზიკურად შეკრების, ასევე დისტანციური წესით, ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით.

2. საბჭოს სხდომის მოწვევის შესახებ საბჭოს წევრებს ეცნობებათ სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე ელექტრონული კომუნიკაციის და/ან ასოციაციის ვებსაიტზე ინფორმაციის გამოქვეყნების გზით, დღის წესრიგის მითითებით.
3. საბჭოს სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს წევრის მიერ.
4. საბჭოს პირველივე სხდომაზე აირჩევა საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს უფლებამოსილების ვადით. თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საბჭოს ნებისმიერ წევრს.
5. საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება და/ან მასზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.
6. საბჭოს გადაწყვეტილებაუუნარობის შემთხვევაში, ორი კვირის ვადაში მოიწვევა განმეორებითი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრე და/ან წარმოდგენილ წევრთა რაოდენობის მიუხედავად.
7. საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
8. საბჭოს წევრი იურიდიული პირის შემთხვევაში, ხმის უფლებით სარგებლობს იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან სპეციალურად ამ მიზნისათვის წარდგენილი პირი.
9. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრე და/ან წარმოდგენილ წევრთა ხმების უმრავლესობით, რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი. ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. საწინააღმდეგო აზრის შემთხვევაში, თავის პოზიციას საბჭოს წევრი აფიქსირებს წერილობითი ფორმით, რაც დაერთვება საბჭოს გადაწყვეტილებას.
10. საბჭოს გადაწყვეტილება ასოციაციის საერთო კრების და გამგეობისთვის ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს.

მუხლი 5. საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობები

1. საბჭოს წევრი უფლებამოსილია:
   ა) გაეცნოს ასოციაციის საქმიანობის მიმართულებებს;
   ბ) ისარგებლოს ხმის უფლებით საბჭოს სხდომაზე;
   გ) მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის საქმიანობის სპეციფიკური საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში.
2. საბჭოს წევრი ვალდებულია:
   ა) დაესწროს საბჭოს სხდომებს;
   ბ) საჭიროების შემთხვევაში გაუწიოს დახმარება ასოციაციის გამგეობას საქმიანობის სპეციფიკური საკითხების გადაწყვეტასა და შესაბამისი დასკვნების მომზადებაში;
   გ) დაიცვას ასოციაციის წესდების და ამ დებულების მოთხოვნები.

მუხლი 6. საბჭოს ანგარიშვალდებულება

1. საბჭო ანგარიშვალდებულია ასოციაციის საერთო კრების და გამგეობის წინაშე.
2. საბჭო უფლებამოსილია საქმიანობის ანგარიში წარადგინოს ასოციაციის საერთო კრებაზე.
3. არაგეგმიური ანგარიშის წარდგენაზე გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის გამგეობა, ასოციაციის წევრთა არანაკლებ ერთი მეათედის ან საბჭოს მინიმუმ ხუთი წევრის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაში შედის მისი დამტკიცების მომენტიდან.
2. საბჭოს საქმიანობის დეტალები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით, რეგულირდება ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებებით.
3. დებულება უნდა განთავსდეს ასოციაციის ვებსაიტზე ან ნებისმიერი სხვა საშუალებით ხელმისაწვდომი გახდეს ასოციაციის წევრებისთვის მისი მიღებიდან ორი კვირის ვადაში.

დამტკიცებულია საერთო კრების მიერ 23.04.2023 წელს.